საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის პერსპექტივები ევროკავშირთან მიმართებაში ,რეკომენდაციები ლიტვის მაგალითზე

ნინო ინასარიძე

ელ. ფოსტა: nino.inasaridze.tsu@gmail.com

ეკოლოგია,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

საბაკალავრო ნაშრომის თემატიკა თანამედროვე და აქტუალურია, იმდენად რამდენადაც XXI საუკუნეში გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და მთელი რიგი გარემოსდაცვითი პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა კაცობრიობისათვის. როგორც ყველამ ვიცით საქართველოს უკვე დიდი ხანია გეზი აღებუAლი აქვს ევროპისკენ და სრულიად იზიარებს ევროპულ ღირებულებებს. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით საქართველომ აიღო ვალდებულება, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება მათ შორის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებებისა და მდგრადი განვითარების სფეროებში. გარემოს დაცვის საკითხების განვითარების პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის, აუცილებელია, რომ ქვეყანას დადგენილი ჰქონდეს გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტული მიმართულებები; ანუ, ქვეყანას უნდა გააჩნდეს სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკა. ნაშრომის მთავარი მიზანია ნათლად დაგვანახოს ასოციერების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, მათი შესრულების ხარისხი,თანმიმდევრობა და ინტენსივობა, ასევე გარემოსდაცვითი კანონმდებლობის პერსპექტივები.

ნაშრომში ასევე განხილულია ლიტვის რესპუბლიკის რეკომენდაციები. რატომ ლიტვა? რატომ არა სხვა ბევრად განვითარებული და წამყვანი სახელმწიფოები? ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ლიტვა გამოსადეგი ქვეყანა იქნება გარემოსდაცვითი რეკომენდაციებისთვის უამრავი მიზეზის გამო, მაგალითად: ლიტვა ჩვენს მსგავსად პატარა სახელმწიფოა მცირე მოსახლეობით, ასევე არის ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყანა, როგორც საქართველო, მასაც საკმაო დრო დასჭირდა გარემოსდაცვითი პრობლემების მოსაგვარებლად, ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად და საბოლოოდ ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ვფიქრობ, ლიტვის რეკომენდაციები გამოსადეგი და საჭირო იქნება საქართველოსთვის გარემოსდაცვითი სექტორის სამომავლოდ განვითარებისათვის ევროპასთან დაახლოების გზაზე. აგრეთვე საბაკალავრო ნაშრომი შეიცავს სოციალურ კვლევას რომელით ჩატარდა ნაშრომის წერის პერიოდში და ეხება სტუდენტების დამოკიდებულებას გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ ლიტვასა და საქართველოში.

საბაკალავრო ნაშრომი ეყრდნობა მთელი რიგ დოკუმენტებს: ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულებას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკას გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების საკითხებში, ასევე ასოცირების შეთანხმების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 2014 -2016 წლების სამოქმედო გეგმებსა და მათი შესრულების ანგარიშებს, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან მიღებულ საჯარო ინფორმაციას, კანონებისა და კანონპროექტების ანალიზს, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშებს, ექსპერტთა დასკვნებს და აღებულ ინტერვიუებს.